



ეპროექტ-კონკურსი უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 მაისის #1 დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

1. სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მხედველობაში მიიღება მათი შეფასების კრიტერიუმები და მეთოდოლოგია. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდოლოგია. პირდაპირი შეფასების მეთოდებია - წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, თეზისი, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია - დამსაქმებლების/კურსდამთავრებულების/ სტუდენტების გამოკითხვა, შედარება მსგავს ინსტიტუციებთან, კურიკულუმის ანალიზი და სხვა.

2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

ყოველი სემესტრის ბოლოს ჩატარებული სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით ხორციელდება სტუდენტთა მხრიდან სწავლის შედეგის მიღწევის დადგენა.

აკადემიური მოსწრების ანალიზით დგინდება რამდენად სწორედ არის მინიჭებული სასწავლო კომპონენტისთვის კრედიტი, შერჩეულია თემატიკა, ლიტერატურა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ა. შ.

აკადემიური მოსწრების ანალიზისთვის უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებული სტუდენტთა რანჟირების სკალას, რომელიც ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას - საუკეთესო სტუდენტების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10% :

10%	A - ფრიადი
25%	B - ძალიან კარგი

30%	C - კარგი
25%	D - დამაკმაყოფილებელი
10%	E - საკმარისი

რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი – სტუდენტთა შესაბამისად 10–10%-ს.

სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულია აკადემიური მიღწევის ნორმალური მაჩვენებელი, ამიტომ სწავლის შედეგის მიღწევის აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე გადაიხედება საგანამანათლებლო პროგრამის/სილაბუსის სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები, მაგალითად:

- სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტის მოცულობა;
- საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება;
- სწავლა/სწავლების მეთოდები;
- სასწავლო კომპონენტის თემატიკა;
- სავალდებულო ლიტერატურის სირთულე და მოცულობა;
- შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;
- ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა.

განხორციელდება პროგრამის გადახედვა და მოდიფიცირება.

მხოლოდ ქულის გამოყვანა (ნიშნის მიღება) არ აძლევს სტუდენტს საკმარის უკუკავშირს მის მიღწევებთან დაკავშირებით, ვინაიდან ქულა მხოლოდ კომპეტენციის საერთო დონეზე მიუთითებს. საერთო ქულით შეუძლებელია სპეციფიკური სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე ქულების სისტემა დაკავშირებული უნდა იყოს ქულების გამოანგარიშების გზამკვლევთან.

ქულების გამოანგარიშების გზამკვლევს, რომელიც გამოიყენება შეფასებისას ხშირად უწოდებენ რუბრიკას. რუბრიკა ესაა ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სტუდენტების მიღწევების კლასიფიცირებისას. თითოეული რუბრიკა მოიცავს კრიტერიუმების ნაკრებს და ამ კრიტერიუმებთან ასოცირებულ ქულებს ან ნიშნებს. ამდენად, კლასიფიცირების შკალაზე მიღწევების სხვადასხვა დონის აღწერის მეშვეობით, რუბრიკები გვეხმრება განვსაზღვროთ შეფასების სისტემების კრიტერიუმები.

ქულების გამოანგარიშების რუბრიკის ნიმუში:

სტანდარტული შეფეხვები	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
შეფეხვი	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებ ლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებე ბის სინთეზის ბრწყინვალე შესაძლებლობე ბის ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებ ლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებე ბის სინთეზის გარგი შესაძლებლობე ბის ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებ ლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებე ბის სინთეზის გარგი შესაძლებლობე ბის ჩვენება	ინდიკატორი თ განსაზღვრულ ი უნარის დამაკმაყოფი ლებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებ ლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებე ბის სინთეზის გზით მტკიცებულებე ბის სინთეზის დამაკმაყოფი ლებლად შესაძლებლობე ბის ჩვენება	ინდიკატორ ით განსაზღვრულ ილი უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბი ლად ანალიტიკურ გზით მტკიცებულებე ბის სინთეზის გზით მტკიცებულ ების სინთეზის დამაკმაყოფი ლებლად შესაძლებლ ების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მტკირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებ ლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებე ბის ანალიტიკური რი გზით მტკიცებულ ების გზით არქონის ჩვენება

3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ - ერთი ინდიკატორია სწავლის შედეგების რუქა, რაც იძლევა პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების დადარების საშუალებას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა თვალწატილი აჩვენებს რომელი სასწავლო კომპონენტით მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები.

საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქის ნიმუში:

სასწავლო კურსი სქემაში აღინიშნება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მინიჭებული რიგითი ნომრით. სასწავლო გეგმის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება ჩაიწეროს სასწავლო კომპონენტის სრული სახელწოდება.

4. სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის შეფასების რუქა

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ თითოეულ სასწავლო კომპონენტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების რუქა.

სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის შეფასების რუქის ნიმუში:

სწავლის შედეგი	შეფასება
ცოდნა და გაცნობიერება	I შედეგი დასკვნითი გამოცდა
უნარი	II შედეგი პროექტის მომზადება დაცვა/პრეზენტაცია
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	III შედეგი იმიტირებული სასამართლო პროცესი...